



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 73

06/07/2018

**ნინო ჯანელიძის და გიორგი კაპანაძის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილების 39<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** წავიდნენ მივლინებაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი გიორგი კაპანაძე ქალაქ ყვარელში ამა წლის 7,8 და 9 ივლისს „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის ფორუმში“ მონაწილეობის მიღების მიზნით.

**მუხლი 2.** დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელომწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო